პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

28 დეკემბერი, ოთხშაბათი 1988 წ. № 248 (9915) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მოკავშირე რესპუბლიკებში საუკეთესონი

სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და ჟურნალ „ოლიმპიისკაია პანორამას“ რედაქცია მეშვიდედ ატარებენ კონკურსს „15 მოკავშირე რესპუბლიკის 15 საუკეთესო სპორტსმენი“. გთავაზობთ ლაურეატთა სიას:

ვლადიმერ არტიომოვი (რუსეთის ფედერაცია) — XXIV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი სპორტულ ტანვარჯიშში.

სერგეი ბუბკა (უკრაინა) — XXIV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ჭოკით ხტომაში.

მარინა ლოგანინა (ბელორუსია) — XXIV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი მხატვრულ ტანვარჯიშში.

მახარბეკ ხადარცევი (უზბეკეთი) — XXIV ოლიმპიადის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში.

ვალერი ლიუკინი (ყაზახეთი) — XXIV ოლიმპიადის ჩემპიონი სპორტულ ტანვარჯიშში.

ნინო სალუქვაძე (საქართველო) — XXIV ოლიმპიადის ჩემპიონი ტყვიის სროლაში.

ილგარ მამედოვი (აზერბაიჯანი) — XXIV ოლიმპიადის ჩემპიონი ფარიკაობაში.

გინტაუტას უმარასი (ლიტვა) — XXIV ოლიმპიადის ჩემპიონი სატრეკო ველოსპორტში.

ნიკოლოზ ჟურავლევი (მოლდავეთი) — XXIV ოლიმპიადის ჩემპიონი სუბალტარო ნიჩბოსნობაში და კანოეში.

იანის ციბულისი (ლატვია) — ზამთრის XIV ოლიმპიადის ჩემპიონი ბობსლეიში.

ვიაჩესლავ ბოჩკარიოვი (ყირგიზეთი) — ევროპის იუნიორთა ჩემპიონი ტყვიის სროლაში.

ტახირ კამალეტდინოვი (ტაჯიკეთი) — სამაიდარო ნიჩბოსნობასა და კანოეში საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი.

ორხან მირზოიანი (სომხეთი) — XXIV ოლიმპიადის ჩემპიონი ძალოსნობაში.

ალთი ორასდურდიევი (თურქმენეთი) — სსრ კავშირის იუნიორთა ჩემპიონი ძალოსნობაში.

ერიკა სალუმეა (ესტონეთი) — XXIV ოლიმპიადის ჩემპიონი სატრეკო ველოსპორტში.

რა მოჩანს ახალგაზრდული თამაშების შედეგების სარკეში?

ფიქრები საქართველოს სპორტსახელოვნების კოლეგიაზე საკითხის განხილვის შემდეგ

⊙ რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გარდაქმნა-გააქტიურება საერთო ეროვნული საქმეა!

⊙ ვინ აგებს პასუხს რესპუბლიკაში სპორტის ჩამაყალიბებისათვის? ამას იმავე რაიონების ახალგაზრდობისა და, საერთოდ, მოსახლეობის სახელითაც ვეკითხებით ადგილობრივ ხელმძღვანელებს, სადაც ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა ჩამკვდარია.

დამთავრდა რესპუბლიკის IV ახალგაზრდული სპორტული თამაშები. თავიდანვე ვიტყვით, რომ ამ ასპარეზობის საბოლოო შედეგებს მოუთმენლად მოელოდა ყველა, ვისაც ქართული სპორტის დღევანდელი და ხვალინდელი დღე აღელვებს, ვისთვისაც ძვირფასია ქართული სპორტის წინსვლა. ეს თამაშები ამ თვალსაზრისით თავისებური სარკე იყო და მასში წარმატებებთან ერთად გამოჩნდა ნაკლოვანებები, რაც ჩვენს საერთო ყურადღებას მოითხოვს.

როცა წარმატებებზე ვლაპარაკობთ, პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ იმ სპორტსმენთა შედეგები, რომლებსაც გაისად საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში მოუხდებათ რესპუბლიკის სპორტული ღირსების დაცვა. ბევრ სახეობაში გამოჩნდნენ ნიჭიერი და იმედის მომცემი ახალგაზრდები. ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში იგრძნობა მუშაობის გააქტიურება. სულ ამ თამაშების სარბიელზე 4126 სპორტსმენი გამოდიოდა, აქედან 1934 გოგონა იყო. შეჯიბრება კი სპორტის 35 სახეობაში გაიმართა. ნაჩვენებია საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ერთი შედეგი, სპორტის ოსტატის ნორმატივი 13 მონაწილემ შეასრულა, სპორტის ოსტატობის კანდიდატი გახდა 28 სპორტსმენი.

განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ **ვანის რაიონის** წარმომადგენელთა შედეგები. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელშეწყობითა და დახმარებით ამ რაიონში ფიზკულტურა და სპორტი საგრძნობლად დაწინაურდა. ვანელთა მაგალითი იმის ნათელი დასტურია, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს რაიონის ხელმძღვანელთა ზრუნვას. თვით ის ფაქტი, რომ ვანის რაიონმა რესპუბლიკის 51 რაიონთან შეჯიბრებაში ამ თამაშების ისტორიაში პირველად დაიკავა პირველი ადგილი, მრავლის მეტყველია. რაიონის წარმომადგენლებმა 971,5 ქულა მოაგროვეს, მეტი ვიდრე რესპუბლიკის 28 რაიონის სპორტსმენებმა (მონაწილეთა ნახევარზე მეტი) ერთად აღებული (ეს არის ცხრილში ბოლოდან მოცემული რაიონები — ონის რაიონის ჩათვლით).

თამაშებში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, დაბალი იყო მძლეოსნების, მოცურავეების, მშვილდოსნების, ძალოსნების, მოფარიკავეების, ნიჩბოსნებისა და ტყვიის მსროლელთა შედეგები.

გამოიკვეთა ისიც, რომ დახვეწას და მეტ პრინციპულობას მოითხოვს შეჯიბრებების ორგანიზაცია. მაგალითად, ცურვაში, ძალოსნობაში, ცხენოსნობაში, აკადემიურ ნიჩბოსნობაში მსაჯთა კოლეგიებმა უნებართვოდ, თვითნებურად დაარღვიეს დებულება და შექმნეს არაჯანსაღი აჟიოტაჟი, გააუბრალოეს შეჯიბრება. საქართველოს სპორტსახელოვნების მთავარი სპორტულ-მეთოდური სამმართველო, სპორტული განყოფილებები ჯეროვნად ვერ აფასებენ რესპუბლიკური ასპარეზობების როლსა და მნიშვნელობას, დროულად არ რეაგირებენ გამოვლენილ ნაკლოვანებებზე. უმოქმედოდ არიან ფედერაციები.

თამაშებმა გვიჩვენა, რომ **რესპუბლიკის ბევრ რაიონში არავითარი ძვრები არ იგრძნობა. ვერც ერთი ქულა ვერ დაიმსახურეს ასპინძლებმა,** ეს მაშინ, როცა ამ რაიონში გახსნილია ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა, მუშაობს 17 ჯგუფი. ასევე **მხოლოდ ერთ სახეობაში გამოიყვანა სპორტსმენები გეგეჭკორის რაიონმა და ქულის გარეშე დარჩა.** ამ რაიონშიც მუშაობს სპორტსკოლა და 19 ჯგუფი. მესტიაში შვიდი სპორტსკოლაა გახსნილი 100 ჯგუფით, აქედან კრივში — 23. მესტიელებმა მხოლოდ სამბოსა და ქართულ ჭიდაობაში იასპარეზეს. მხოლოდ **თითო (!) სახეობაში მიიღეს მონაწილეობა ბოლნისის, დმანისის, მარნეულის, თიანეთის, ცაგერის, ჩხოროწყუს რაიონებმა და ერთი ქულაც ვერ დაიმსახურეს. არადამაკმაყოფილებელია თამაშებში აბაშის, ადიგენის, ამბროლაურის, ახალქალაქის, გურჯაანის, თეთრი წყაროს, წალენჯიხის რაიონების შედეგები.**

რით იმართლებენ თავს ამ რაიონების ხელმძღვანელები, განსაკუთრებით ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები? მათ კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდა მხოლოდ ფეხბურთი არ არის. ბოლნისელთა მაგალითზე კიდევ ერთხელ მკაფიოდ დადასტურდა მრავალჯერ თქმული: ზოგიერთ რაიონში მხოლოდ ფეხბურთს სწყალობენ ადგილობრივი ხელმძღვანელები და ამით ქმნიან მოჩვენებით შთაბეჭდილებას, ცდილობენ საკუთარი თავი და სხვებიც დაარწმუნონ, თითქოს ფიზკულტურულ მუშაობას ყურადღებას უთმობენ. ბოლნისის რაისაბჭოს აღმასკომმა, ისევე როგორც სხვა რაიონებმა, რედაქციას პასუხიც არ აცნობა ჭაბუკთა IV რესპუბლიკური თამაშების მსვლელობისას არაერთგზის გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებზე. არადა, **ბოლნისელებმა ვერც ერთი ქულა ვერ მიიღეს თამაშებში, სარბიელზე კი ხულ გამოიყვანეს 8 მონაწილე.** შედარებისთვის ისევ ვანის რაიონს მოვიტანთ. ამ რაიონმა სპორტის 15 სახეობაში მიიღო მონაწილეობა და სარბიელზე 123 წარმომადგენლით იასპარეზა. **ცაგერის რაიონმა მხოლოდ ერთ სახეობაში მიიღო მონაწილეობა: 6 სპორტსმენით.** ადრე ჩვენს გაზეთში ეს რაიონი გავაკრიტიკეთ. გვიპასუხეს, რომ რაიონში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესების საკითხი განიხილეს და ღონისძიებებიც დასახეს. ახლა ირკვევა, რომ ეს განხილვა და დაპირებაც უძრაობის პერიოდის გამოძახილი იყო. საქმე ადგილიდან არ დაძრულა. **იგივე ითქმის ყაზბეგის რაიონზე,** რედაქციაში ამ რაიონის ხელმძღვანელთა მიერ ხელმოწერილი დაპირებებიც ინახება. რაიონის ხელმძღვანელებს ერთხელ კიდევ გვინდა შევახსენოთ: რატომ არ სრულდება პარტიისა და მთავრობის, სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობების გადწყვეტილებები, სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობაში კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები? ნურავინ გვიწყენს, მაგრამ თავს უფლებას ვაძლევთ ვიკითხოთ: რაცა ადამიანების კეთილდღეობისათვის ზრუნვის ამ სფეროში პრობლემები გადაუჭრელი რჩება, რატომ არავინ აგებს პასუხს?

საერთო გუნდური შედეგები

ქალაქები და რაიონები	საბოლოო ადგილი	ოქროსფერი მედალი	ქულა	მოპოვებული მედალი: ოქრო	ვერცხლი	ბronზა	ოქრო	ვერცხლი	ბronზა
I ჯგუფი									
თბილისი	39	518	15829,5	102	99	90	47	12	13
ქუთაისი	35	382	7957	19	22	19	12	18	12
ახალციხე	37	367	7489,5	22	21	26	5	17	9
აჭარა	35	359	7018,5	11	10	25	9	10	17
ფუთადი	23	214	3306	10	7	11		13	5
სამხრეთ ოსეთი	17	147	1490,5	5	8	7			1
II ჯგუფი									
ფოთი	12	114	2933	12	14	12	9	5	
გორი	10	85	1175,5	10	7	10			
ზუგდიდი	7	49	947,5	1		3		2	2
ტყიბული	15	136	767,5		1	4			
წყალტუბო	12	103	672,5	1	3	1			1
ჭიათურა	10	79	450	3	2	2			1
მარნეული	2	15	38			1			
III ჯგუფი (რაიონები)									
ვანი	15	123	971,5	1	3	3		1	2
მარტვილი	9	61	876,3	4	2	4	1	1	2
ბაღდათი	9	85	805	5	4	4		1	1
ზუგდიდი	9	52	530,5	1	2	4	1		2
საგარეჯო	9	56	516	3		5			
ფოთლაბანი	6	43	451,1	9	4	3			
ლაგოდეხი	5	52	443		1	2			1
ბესარიონი	7	54	435	1		2			1
ფალავი	7	61	419,5	3		3			
ასპინძლია	11	99	405,5	1					
ხობი	5	43	405	1		3			
საჩხერე	4	37	269,5	2	1	2			
ქარელი	3	23	218		2	1			
ბორჯომი	2	18	208		1	1			
კასპი	5	44	200,6	1	1				
გორი	4	32	189,6						
აბაშა	4	28	188,5			5			
დუშეთი	3	20	164,5	1	3				
ყვარელი	6	36	164,1		2				
ცხინვალი	5	26	151,5	1		1			
ზუგდიდი	5	34	139		1				
ღარიბული	3	31	136						
მაიაკოვსკი	5	23	117		1	1			
ონი	2	16	117			2			
ჩიბატაური	3	20	116						
ლენტეხი	2	17	109,5	1		1			
ფოთლელა	2	21	95						
ხაშური	5	35	95		1				
წალენჯიხა	1	2	56						
წინანდელი წყარო	4	30	54,1						
ბაკურიანი	1	2	50		1				
ახალქალაქი	2	6	45						
ორჯონიკიძე	6	37	44,5		1	1			
ამბროლაური	3	24	40						
ახალციხე	1	2	36						
სიღნაღი	4	28	25						
გურჯაანი	3	19	22,5			1			
ფალავი წყარო	2	7	10						
ადიგენი	1	3	7						
ახალციხე	3	14	7						
ასპინძა	1	7	0						
ბოლნისი	2	9	0						
გეგეჭკორი	1	6	0						
დმანისი	1	3	0						
მარნეული	1	8	0						
მესტია	2	13	0						
ფიროსმანი	1	4	0						
ცაგერი	1	6	0						
ჩხოროწყუ	1	7	0						
ყაზბეგი	0	0	0						
ბოგდანოვკა	0	0	0						

1988 წლის ახალგაზრდულ IV რესპუბლიკურ სპორტულ თამაშებში სპორტული საზოგადოებისა და უწყებების მონაწილეობის შედეგები

სპორტის სახეობები	საკავშირო სპორტსაბჭოებმა: ადგილი	ქულა	„ლინამი“: ადგილი	ქულა	„შრომითი რეზერვები“: ადგილი	ქულა	განადგურების საძინისკენი: ადგილი	ქულა	ორმის სპორტკლუბი: ადგილი	ქულა
აკრობატიკა					II	558	I	668	III	144
ბადმინტონი	I	764,5					II	439,5		
კალათბ. ქაბ.	I	358	III	86,4	IV	16,8	II	106,8		
გოგონები	I	334					II	234		
კრივი	I	1461			II	209,5	IV	67	III	85
ფაუ. ჭიდაობა	I	1161	II	136	III	109				
კალა. ჭიდაობა	I	627	V	153	III	202	II	256	IV	182
სამბო	I	994	II	259,5					III	141
ქართ. ჭიდაობა	I	1224	II	54						
ველო სტრეკი)			ა ო	ბ ა ვ ა ნ ე ბ ე ლ ი						
საგზ. ველოსპორ.	I	1208,4			IV	20	II	183,9	III	147,3
წყალბურთი (ბაბ.)	II	144,28	I	269,89			III	64,62	IV	33,21
წყალბურთელმეტრები	I	1043								
ჭიქნ. ქაბ.	I	415,32					II	52,68		
გოგონები	II	237,332					I	330,604		
მხატ. ტანვარჯ.	II	365	IV	197			I	770	III	283
სპორტ. ტანვარჯ.	IV	97	II	791	III	490	I	1316		
აკად. ნიჩბოსნ.	I	1657					II	158		
ნიჩბ. (ბაიდ. და კანოე)	I	1589	III	637	II	667				
ძიუდო (ბაბ.)	I	528,5	II	271	IV	38			III	156,5
გოგონები	II	459	III	76					I	525
ცხენოსნობა	I	1115								
ძძეოსნობა	I	1199	II	423			IV	70	III	167
აკრობატიკა	I	1165							II	54
ცურვა	I	2041	II	1182			III	639		
სინქ. ცურვა	I	302					II	150		
წყალბი ხტომა	I	528					II	456		
ბაგატელი ხტომა					I	511	III	62	II	189
ხელბ. ქაბუკები	II	256,734					I	311,266		
გოგონები	I	306,87					II	241,13		
თანამედ. ბუფეტი	II	170	I	402						
მშვილდოსნობა	I	650			II	177			II	35
ტყვიის სროლა	III	365	I	971			IV	196	II	546
სასტ. სროლა	II	278	I	278					III	212
ჩოგბურთი	I	392	II	72						
მაგიდ. ჩოგბურთი	I	856					II	412		
ძალოსნობა	I	969					II	181	III	36
ფარიკაობა	II	240	IV	36			I	760	III	72
ბაღაბ. პოკერი: ჭაბუკები	I	568								
გოგონები	I	444								
ჭადრაკი	I	198,3	III	133,2			II	139,8	IV	96
ჯ ა მ ი		26694		6427		2998,3		8595		3074,01
ს უ ლ		236		99				36		

საპრემიო სადგურების მიხედვით დაკავებული ადგილების რ ა ო დ ე ნ ო ბ ა

სპორტული საზოგადოებები და უწყებები	სადგურების რაოდენობა	ადგილები: I	II	III	IV	V
ა ნ გ ა ს	38	28	8	1	1	–
„ დ ი ნ ა მ ო“	19	4	8	4	2	1
„შრომითი რეზერვები“	11	1	4	3	3	
საბ. გაწ. სამინისტრო	25	6	13	3	3	
ა ს კ	18	1	3	11	3	

მოპოვებული მედლები

სპორტის სახეობები	საზოგადოებრივი საზოგადოებანი: I	II	III	„ლინამი“: I	II	III	„შრომითი რეზერვები“: I	II	III	„საბაღო გაწმენდა“: I	II	III	ორმის სპორტკლუბი: I	II	III
აკრობატიკა							5	4	2		3	5	2		
ბადმინტონი	5	5	4							1	1	2			
კრივი	8	9	20				3	1	1	1				2	1
ფაუს. ჭიდაობა	7	9	8	1	1	2	2								
კალა. ჭიდაობა	5	4	2	1	2	1	2	1	4		1	1	2	2	2
სამბო	8	5	14	1	3	4							1	2	2
ქართ. ჭიდაობა	9	9	9												
საგზ. ველოსპორ.	4	3	9								1				1
წყალბურთელმეტრ.	8	8	8												
სპორტ. ტანვარჯ.		1	2	9	5	5	4	5	5	11	12	8			
მხატ. ტანვარჯ.	3	1	1		1	2				2	7	6	5	1	1
აკად. ნიჩბოს.	15	9	1							2	1				
ნიჩ. (ბაიდ. და კანოე)	5	5	11	2	6	4	8	4							
ძიუდო (ბაბუკ.)	5	2	8	1	3	3			1				1	2	2
ძიუდო (გოგონ.)	2	3	9			2							6	5	5
ცხენოსნობა	6	6	6												
ძძეოსნობა	14	11	6	4	3	2					1	2	2	1	
აკრობატიკა	7	8	6										1		
ცურვა	11	11	7	10	4	9				1	3	2			
სინქ. ცურვა	3	1	2							2	2	2			
წყალბი ხტომა	8	8										8			
ბაგატელი ხტომა							4	2	4				2	2	2
თანამ. ბუფეტი		1		1		1									
მშვილდოსნობა	1	1	1				1	1	1						
ტყვიის სროლა		1	7	10	6	4					2	1	4	5	2
სასტენ. სროლა				1	2								1		2
მაგიდ. ჩოგბ.	7	5	4									2	3		
ძალოსნობა	7	8	7							2	2	1	1		
ფარიკაობა	3	3	3		1								1		1
ჯ ა მ ი	161	137	149	41	37	39	29	18	18	22	37	40	29	23	22
ს უ ლ		437			117			65			99			74	

რესპუბლიკის ქალაქებიდან და რაიონებიდან ველოთ თამაშების შედეგების განხილვისას ძალიან ცოტა ადგილობრივ ხელმძღვანელებს

ჩვენი სპორტის საკომპავლო თვალსაწიერი

ანუ სელექცია, უპირველეს ყოვლისა!

სპორტულ ჯგუფებში მომეცადინეთა კონტინგენტის განუხრელი ზრდა პერსპექტიულ სპორტსმენთა ბუნებრივი შერჩევის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, მაგრამ როდესაც ეს პროცესი თავის ზღვარს მიაღწევს, მისი ეფექტიანობა კანონზომიერად ქვეითდება და დღის წესრიგში დგება სპორტული მეურნეობის ექსტენსიური განვითარების ინტენსიფიკაციის რელსებზე გადაყვანის აუცილებლობა.

სპორტის განვითარების ინტენსიფიკაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, მცირერიცხოვანი რესპუბლიკისათვის. ამ ამოცანის გადაჭრა კი შესაძლებელია მხოლოდ პერსპექტიულ სპორტსმენთა შერჩევის მეცნიერული ორგანიზაციით. ეჭვგარეშეა, რომ სწორედ ამ გზით შეიძლება ამაღლდეს საქართველოს სპორტული კონკურენტუნარიანობა და მნიშვნელოვნად შემცირდეს მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენთა მომზადების ხარჯები.

მართალია, სპორტის განვითარების ინტენსიფიკაციის ძირითადი ფაქტორები (მომეცადინეთა კონტინგენტის შერჩევა, წვრთნის მეთოდიკის სრულყოფა, სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლება, მედიკო-ბიოლოგიური მომსახურების გაუმჯობესება და ა. შ.) ორგანულად უკავშირდება ერთმანეთს, მაგრამ განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე შეიძლება ყურადღება გამახვილდეს ერთ რომელიმე მათგანზე.

დღევანდელ ეტაპზე წინა პლანზე წამოიწია სპორტსმენთა მომზადების ყველა საფეხურზე სელექციის მეცნიერული უზრუნველყოფის მნიშვნელობამ, რადგან, მხოლოდ ამ გზით შეიძლება გაუმჯობესდეს სპორტული ორიენტაცია, სპეციალიზაცია და ნაკრები გუნდების კანდიდატების სწორად შერჩევა.

პერსპექტიულ სპორტსმენთა სელექციის გაუმჯობესებისა და პრაქტიკაში მისი დანერგვის მიზნით, საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა 1985 წელს თბილისში პირველად შეადგინა ცურვის დაწყებითი მოსამზადებელი აკადემიური ჯგუფების 800-მდე აღსაზრდელი. აღმოჩნდა, რომ მათგან 50%-ზე მეტი ვერ აკმაყოფილებდა საკავშირო სტანდარტების მინიმალურ მოთხოვნებს. შემოწმების შემდეგ, ცხადია, სათანადო რეკომენდაციები მიეცათ სპორტსკოლების დირექციებს.

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს თხოვნით 1986 წელს შემოწმდა ხობის რაიონში ახლადგახსნილი სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა კონტინგენტი. როგორც გამოკვლევით დადასტურდა, მოსწავლეთა უმრავლესობის მონაცემები მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ნორმატიულ მოთხოვნებს.

ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ ახალი სასწავლო წლისათვის შეერჩია გეგმით გათვალისწინებული ინტერნატის 200-ზე მეტი ახალი მოსწავლე. ადგილობრივ მოსწავლეთა შორის ასეთი რაოდენობის სათანადო კონტინგენტი არ მოიძებნა — ზოგად საგანმანათლებლო სკოლებში შემოწმებული 881 მოსწავლისგან შეირჩა მხოლოდ 104, ე. ი. 10,6%, რომელიც ძლივს აკმაყოფილებდა მინიმალურ მოთხოვნებს, თანაც, მათ შორის ნახევარსაც არ ჰქონდა სურვილი ინტერნატში სწავლისა.

აღნიშნული ფაქტები აშკარად მოწმობს სპორტში მომეცადინეთა შერჩევის მეცნიერული უზრუნველყოფის დაჩქარების აუცილებლობას, განსაკუთრებით სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატებში.

შემოწმების მასალების ანალიზით ისიც გამოიკვეთა, რომ ხობის რაიონში მოსწავლეთა უმრავლესობას მიდრეკილება აქვს სწრაფძალოვანი (აციკლური) სპორტის სახეობებისკენ, ცურვის სპეციალობის დამაკმაყოფილებელი ანთროპომეტრიული მონაცემები კი უაღრესად მცირე ნაწილს აღმოაჩნდა. არადა, ხობის რაიონში აშენებული აუზი მსოფლიო სტანდარტების დონეზეა. ცხადია, ეს ბაზა ჩვენი სპორტის დიდი შენაძენია, მაგრამ სპორტულ უკუგებაზეც ხომ უნდა ვიფიქროთ. ყოველივე ზემოთქმული კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს იმაზე, **რომ რუბპუბლიკის** რაიონების სპორტული სპეციალიზაცია, მათ ტერიტორიაზე შესაბამისი ბაზების დაგეგმვა-მშენებლობა ფრიად აქტუალური საკითხია.

შედარებით უკეთესი შედეგები მივიღეთ თბილისის სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა კონტინგენტის შემოწმებისას. მაგრამ აქაც საგრძნობი იყო სპორტში მომეცადინეთა შერჩევის ემპირიულობა. ასე მაგალითად: შემოწმებული 218 მოსწავლიდან პერსპექტიული აღმოჩნდა მხოლოდ 37,3%, პირობითად ვარგისი — 38,0%, ხოლო 28,7% ვერ აკმაყოფილებდა მინიმალურ მოთხოვნებს.

სპორტსახკომის ინიციატივით ჩატარებულმა ამ ღონისძიებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა პერსპექტიულ სპორტსმენთა შერჩევის დღემდე არსებული მეთოდიკის ახლით შეცვლის აუცილებლობა და დაჩქარება.

ასეთი ეპიზოდური ექსპერიმენტული ღონისძიებები, ალბათ, დიდხანს გაგრძელდებოდა, 1987 წლის დასაწყისში ძალაში რომ არ შესულიყო პერსპექტიულ სპორტსმენთა შერჩევის ერთიანი საკავშირო სისტემა, რომელიც შედგება ოთხი ეტაპისგან: პირველ ეტაპზე უნდა მოხდეს დაწყებითი მოსამზადებელი, მეორე ეტაპზე — სასწავლო-საწვრთნელი, მესამე ეტაპზე — სპორტული სრულყოფის (რატომღაც გამორჩენილია სპორტული დაოსტატების ეტაპი), ხოლო მეოთხეზე — ოლიმპიური ნაკრები გუნდების კანდიდატების სელექცია.

1987 წლის 10 მარტს საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრომ და რესპუბლიკის სპორტსახკომმა მიიღეს ერთობლივი დადგენილება, რომელიც ითვალისწინებდა პერსპექტიულ სპორტსმენთა შერჩევის ერთიანი საკავშირო სისტემის მხოლოდ პირველი ეტაპის განხორციელებას, ე. ი. მე-2-მე-4 კლასის მოსწავლეთა შემოწმებას და მათ სპორტულ ორიენტაციას.

ზემდგომი ორგანოების მიერ მიღებული ამ დადგენილებით გათვალისწინებული ეს სამუშაო, ერთი შეხედვით, იოლი გვეჩვენა, მაგრამ დიდი მონდომების მიუხედავად, ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, საქმის ნახევარიც ვერ გავაკეთეთ.

რესპუბლიკის მე-2-მე-4 კლასის მოსწავლეთა მასობრივი შემოწმებისა და მათი სპორტული ორიენტაციის მიზნით გაკეთდა შემდეგი:

— მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებთან (თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, ზუგდიდში, ქუთაისში, თელავში) შეიქმნა 8 რეგიონალური ცენტრი, სადაც 3-დღიანი მიზნობრივი სემინარი გაიარა 500-მდე ფიზიკურ აღზრდის სპეციალისტმა.

— სახალხო განათლების საქალაქო და სარაიონო განყოფილებებთან ჩამოყალიბდა 91 სუბრეგიონალური ცენტრი და 500-ზე მეტი ბრიგადა, სადაც გაერთიანდა 2500-მდე სპეციალისტი.

— სახალხო განათლების სამინისტროს ბაზაზე ჩამოყალიბდა რესპუბლიკური ცენტრი, ე. წ. ბანკი, სადაც შეიკრიბება მოსწავლეთა ანთროპომეტრიული, ფუნქციონალური, ფიზიკური განვითარებისა და მომზადების ძირითადი მაჩვენებლები.

— სახალხო განათლების სამინისტროს გამოთვლითი ცენტრისათვის შემუშავდა მოსწავლეთა მონაცემების ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით შეფასებისა და მათი სპორტული ორიენტაციის განსაზღვრის ინსტრუქცია და პროგრამა.

— რესპუბლიკაში შემოტანილი იქნა დეფიციტური, ულიმიტო აპარატურა, თბილისის ხელსაწყოების ქარხნის დირექციამ უყოყმანოდ მიიღო ჩვენი რიგგარეშე შეკვეთა და მოკლე დროში დაგვიმზადა 1500 ცალი დეფიციტური ელექტრომეტრონომი.

— შედგენილი იქნა მე-2-მე-4 კლასის მოსწავლეთა მასობრივი შემოწმების ინსტრუქცია-პროგრამა (ტირაჟი — 45 ათასი ცალი), რომელიც დაიგზავნა ადგილებზე.

— ჯანმრთელობის სამინისტროს წერილობითი განკარგულების შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ადგილებზე საექიმო მომსახურება, ამაღლდა მოსწავლეთა მასობრივ შემოწმებაში უშუალოდ მონაწილეთა პასუხისმგებლობა.

აღნიშნული და სხვა სახის ღონისძიებების მიუხედავად მაინც ვერ შევძელით დადგენილებით გათვალისწინებული მე-2-მე-4 კლასის მოსწავლეთა მთლიანი კონტინგენტის შემოწმება, ვინაიდან საკავშირო უწყებამ — „მედტექნიკამ“ ვერ უზრუნველყო ჩვენი მომარაგება სათანადო აპარატურით, სახალხო განათლების სამინისტროს კი არ გააჩნდა სათანადო „მეხსიერების მოცულობის“ მქონე ელექტროგამომთვლელი მანქანა. სამწუხაროდ, ეს პრობლემა დღემდე გადაუჭრელია.

ობიექტური მიზეზებით გამოწვეული შეფერხების გამო, ჩვენი მუშაობა შემოიფარგლებოდა მხოლოდ მე-2 კლასის მოსწავლეთა მასობრივი შემოწმებითა და მათი სპორტული ორიენტაციით. ამ საქმეში დიდი ენთუზიაზმი გამოიჩინეს გორის, მახარაძის, ტყიბულის, ქარელის, ცხინვალის, თეთრი წყაროს, თელავის, თბილისის ოქტომბრის, საბურთალოსა და კიროვის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩვენ მთლიანად შევამოწმებდით მე-2 კლასის მოსწავლეთა კონტინგენტს, ამ ეროვნული საქმისათვის ზურგი რომ არ შეექციათ ყვარლის, მარნეულის, რუსთავის, ასპინძის, ყაზბეგის, ახალქალაქის, დუშეთის, ბოგდანოვკის, სოხუმის, დმანისის, გალის, სიღნაღის, ქ. ტყვარჩელის, გურჯაანის და თბილისის ლენინის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებებს. იმედია, სახალხო განათლების სამინისტრო ამ საქმეს უყურადღებოდ არ დატოვებს, თუნდაც იმიტომ, რომ აღნიშნულ სახალხო განათლების განყოფილებათა ხელმძღვანელების გულგრილობით სპორტულ თვალსაწიერს გამოაკლდა 20000-მდე მოზარდი. ვინ იცის, იქნებ, მათ შორის საკავშირო და მსოფლიო სტანდარტების მონაცემების მქონე პერსპექტიული სპორტსმენიც იყო?

დღეისათვის 91 სუბრეგიონიდან (60 000 მოსწავლე) შემოწმების მასალები სრულყოფილად წარმოადგინა 68-ამ. ფიზკულტურის სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა დაამუშავა ეს მასალები და ჩააბარა სახალხო განათლების სამინისტროს გამოთვლით ცენტრს. იმედი გვაქვს, ამ მასალების შემდგომი დამუშავება არ შეყოვნდება და მოკლე ხანში რაიონულ სახალხო განათლების განყოფილებებს დაეგზავნებათ თავიანთ მოსწავლეთა შემოწმების შედეგები. თითოეული მოზარდი შეფასდება ანთროპომეტრიული, ფუნქციური და ფიზიკური განვითარებისა და მომზადების მიხედვით, მინიშნებული იქნება აგრეთვე მათი სპორტული ორიენტაცია. ეს მასალები დაეხმარება სპორტული სკოლების მუშაკებს დაწყებითი მოსამზადებელი აკადემიური ჯგუფების დაკომპლექტებაში.

სახალხო განათლების სამინისტროს გამოთვლითი ცენტრის მიერ მიწოდებული მასალების დამუშავების შემდეგ, დაინტერესებულ პირს რესპუბლიკურ ცენტრებში წუთებში შეეძლება გაიგოს, რომელ რაიონში ცხოვრობს მოზარდი, რომელიც ყველაზე მარჯვეა, მაღალია, სწრაფია, გამძლეა და ა. შ. ერთი სიტყვით, პერსპექტიული სპორტსმენთა შერჩევის რესპუბლიკური ბანკი (ცენტრი) დიდ დახმარებას გაუწევს ყველას, ვისაც სათანადო ფიზიკური და ანთროპომეტრული მონაცემების მქონე მოზარდის მოძებნა დასჭირდება.

ყოველწლიურად მარტო მე-2 კლასის მოსწავლეთა მასობრივი შემოწმება და სპორტული ორიენტაცია მოკლე დროში ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის რესპუბლიკის სპორტულ პოტენციალზე, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯერჯერობით ამის გაკეთება ჩვენს ძალებს აღემატება. ეს გარემოება გაწეულ მუშაობას ჩრდილს არ აყენებს თუნდაც იმის გამო, რომ შემოწმებული იქნა 1978-1979 წლებში დაბადებული 60 ათასამდე მოზარდი და თითოეულ მათგანს მიეცა სპორტული ორიენტაცია. ამასთან, მივიღეთ სათანადო გამოცდილება.

ჩვენი აზრით, თუ მომავალში პერსპექტიულ სპორტსმენთა შერჩევა შემოიფარგლება სპორტსკოლებში მეცადინეობის მსურველთა კონტინგენტით მაინც და, ამასთან ერთად, დაინერგება რესპუბლიკის ნაკრები გუნდების კანდიდატთა სელექციისა და სპორტული პროფილის სკოლების აკადემიური ჯგუფების დაკომპლექტების უახლესი მეთოდები, საკმაოდ ამაღლდება რესპუბლიკის სპორტული კონკურენტუნარიანობა. პარალელურად უნდა ვიფიქროთ (და მოვემზადოთ) რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა მოზარდის მასობრივ შემოწმებასა და სპორტულ ორიენტაციაზე. ამ ამოცანის განხორციელება ხომ საქართველოს სპორტული პოტენციალის გამოვლენის ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობაა.

ავთანდილ ჩუთლაშვილი,
საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერმუშაკი.

თენგიზ ტერუნაშვილი,
ამავე ინსტიტუტის სპორტსმენთა მომზადების მეცნიერული უზრუნველყოფის განყოფილების გამგე.

ორი ჩემპიონი

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა დედაქალაქის მოჭადრაკე ვაჟთა მე-60 ჩემპიონატი.

ბოლო, XV ტურის წინ, შედგა გადადებული პარტიების დამთავრება. გთავაზობთ მათ შედეგებს: **V ტური:** ხანთაძე-პაქსაშვილი — 0:1, **VII ტური:** სიგუა-მიქაელიანი — 0:1, **VIII ტური:** ზაჩიძე-ლობჟანიძე — 0,5:0,5, **IX ტური:** ჩიქოვანი-პაქსაშვილი — 1:0, ხანთაძე-ხაჩიძე — 0:1, **X ტური:** ხაჩიძე-მიქაელიანი — 1:0, **XI ტური:** თანდაშვილი-პაქსაშვილი — 0:1, **XII ტური:** პაქსაშვილი-ლობჟანიძე — 0,5:0,5, გოგიჩაიშვილი-ჩიქოვანი — 0,5:0,5, **XIII ტური:** მიქაელიანი-პაქსაშვილი — 1:0, სიგუა-გოგიჩაიშვილი — 0:1, დაბრუნდაშვილი-ხაჩიძე — 0:1, ლობჟანიძე-ნეჩაევი — 0,5:0,5, **XIV ტური:** ვაშაკიძე-ჩიქოვანი — 0,5:0,5, ხაჩიძე-მესტვირიშვილი — 0,5:0,5.

ახლა კი გთავაზობთ ბოლო, **XV ტურის** შედეგებს: ჩიქოვანი-დაბრუნდაშვილი — 1:0, სიგუა-ვაშაკიძე — 1:0, თანდაშვილი-ხანთაძე — 0:1, მიქაელიანი-ცქიტიშვილი — 0:1, მესტვირიშვილი-პაქსაშვილი — 0:1, მოვსესიანი-ნეჩაევი — 0:1, ლობჟანიძე-გოგიჩაიშვილი — 0,5:0,5, სხილაძე-ხაჩიძე — 0,5:0,5.

ამრიგად, თბილისის ჩემპიონატში 11,5-11,5 ქულით I-II ადგილები გაინაწილეს ოსტატობის კანდიდატებმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა, დედაქალაქის შარშანდელმა ჩემპიონმა გივი გოგიჩაიშვილმა და ბავშვთა საჭადრაკო სპორტული სკოლის მწვრთნელმა, თბილისის პირველობის შარშანდელმა მესამე პრიზიორმა დავით პაქსაშვილმა. ორივე მოჭადრაკეს მიენიჭა თბილისის 1988 წლის ჩემპიონის წოდება, მაგრამ უკეთესი კოეფიციენტის გამო საქართველოს პირველობის უმაღლესი ლიგის საგზური გოგიჩაიშვილს ერგო. პაქსაშვილი კი პირველ ლიგაში იასპარეზებს.

აღსანიშნავია, რომ გოგიჩაიშვილმა მთელი შეჯიბრება დაუმარცხებლად განვლო.

10,5-10,5 ქულით III-VI ადგილები გაიყვეს ოსტატმა იური ჩიქოვანმა, ოსტატობის კანდიდატებმა დავით ლობჟანიძემ, გია ცქიტიშვილმა და იური ნეჩაევმა. კოეფიციენტის მიხედვით მესამე საპრიზო ადგილი იური ჩიქოვანს მიეკუთვნა.

დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: VII. თემურ ხანთაძე — 8,5, VIII. პაატა მესტვირიშვილი — 8, IX-X. ვასილ ხაჩიძე, ეძილ მიქაელიანი — 7,5-7,5, XI. სერგო მოვსესიანი — 5,5, XII. ვასილ ვაშაკიძე 5, XIII. ბესიკ სხილაძე — 4, XIV-XV. რევაზ სიგუა, ლელა თანდაშვილი — 3,5-3,5, XVI. დავით დაბრუნდაშვილი — 2.

ვასილ ვაშალომიძე.

ნაყოფიერად, საქმიანად

ბავშვების სპორტში მიზიდვისა და ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენის მიზნით ჭავჭავაძის ქუჩაზე, № 62 სახლთან ჩამოყალიბებულია კლუბი „იალქანი“. კლუბს ხელმძღვანელობს საზოგადოებრივი საბჭო, რომლის თავმჯდომარეა დათო ზოდელავა.

—ძნელად აღსაზრდელი ბავშვების პრობლემა ამჟამად აღარ გვაფიქრებს, თუმცა სამი წლის წინათ ბევრი ასეთი ბავშვი გვყავდა. — ამბობს კლუბის ხელმძღვანელი. — მოგეხსენებათ, როგორ მოქმედებს ქუჩა ბავშვთა ზნეობაზე, ამიტომ გასაგები იყო მშობელთა ყოველდღიური შფოთვა და წუხილი ეზოქუჩებში მყოფ შვილების ბედზე. ახლა ისინი სპორტულ ჯგუფებში არიან გაერთიანებული.

კლუბში ტარდება თეორიული მეცადინეობები, გახსნილია შაშის, ჭადრაკის წრეები, ეწყობა საუბრები, შეხვედრები, თემატური საღამოები. კლუბი გურამ ბიგანიშვილის სახელობისაა, ასე რომ, ბავშვები, უპირველეს ყოვლისა, აფროსნობით არიან გატაცებული. მათთვის რამდენჯერმე მოეწყო შეჯიბრებები საიალქნო სპორტში. აქ მოქმედ აფროსნობის წრეს ხელმძღვანელობს თენგიზ ლაზარიშვილი, ცურვის წრეს კი სათავეში უდგას რევაზ მილორავა.

უკვე მესამე წელია, რაც ქალაქის საბინაო მეურნეობის სამმართველოს უფროსის თ. მეგრელიძის დახმარებით თბილისის ზღვაზე შენდება სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი „ალისფერი იალქანი“. ეს კომპლექსი ნამდვილად უნიკალური ნაგებობა იქნება თბილისის ზღვის ტერიტორიაზე, ამიტომ კლუბის წევრები მოუთმენლად ელიან მის მწყობრში ჩადგომას. ერთი სიტყვით, კლუბი ბავშვებთან მუშაობის ერთ-ერთი ცოცხალი კერაა და ნაყოფიერად, საქმიანად ეწევა სპორტის პროპაგანდას. ამ საქმეს კი, მოგეხსენებათ, დღეს დიდი ყურადღება ექცევა.

ზაირა კუპატაძე.

თბილისი.

„სწრაფი“ და „ნამდვილი“ ჭადრაკი

ჭადრაკის ელვისებური თამაში ზესტაფონშიც მკვიდრდება.

ამ დღეებში აქ პირველად რაიონის ისტორიაში „სწრაფ“ ჭადრაკში (5-5 წუთიანი პარტიები; ორ წრედ) გაიმართა რაიონის 1988 წლის ვაჟთა ჩემპიონატი, რომელშიც 8 უძლიერესი მოჭადრაკე მონაწილეობდა.

11 ქულით I ადგილზე გავიდა საჭადრაკო კლუბის დირექტორი ჯემალ მახათაძე, 10,5 ქულით II ადგილი ხვდა ადგილმრეწველობის სარაიონთაშორისო გაერთიანების გენერალურ დირექტორს გურამ თურქაძეს, ხოლო III — საბჭოთა არმიის რიგით ჯარისკაცს ანარ მუსტაფაევს — 10 ქულა.

რა თქმა უნდა, უფრო მეტი დრო (თვეზე მეტი) დასჭირდა რაიონის 1988 წლის ვაჟთა ჩემპიონატს „ნამდვილ“ ჭადრაკში, რომელშიც 11 მოჭადრაკე მონაწილეობდა.

ტურნირი დაუმარცხებლად განვლო და 9,5 ქულით რაიონის ჩემპიონობა მოიპოვა „გორემ 24“-ის შრომისა და ხელფასების განაწილების უფროსმა თენგიზ დეკანოსიძემ. 9,5 ქულით II ადგილს დაეუფლა ფეროშენადნობთა ქარხნის მთავარი ინჟინერი ჰამლეტ ვასაძე. 8 ქულით III ადგილზე გავიდა საქაგრომრეწვის ტექნიკური ხელმძღვანელი რამაზ ლეკვეიშვილი.

„ლელოს“ სპეც. კორ.

ოთხ იარაღზე ექვსიდან

საქართველოს თასისა და რესპუბლიკის ჩემპიონატის გათამაშებაში მრავალჭიდის ცალკეულ სალაობებში, რომელიც ამას წინათ მიმდინარდა თბილისში, ტოლი არ ყავდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს, თბილისელ ლევან სისაურს (პროფკავშირები). იგი უძლიერესი იყო ოსტატთა შორის თასისათვის ბრძოლაში და მრავალჭიდში ოთხი სახეობა მოიგო ექვსიდან — თავისუფალი ვარჯიში, ტაიჭი, ბჯენითი ხტომები და ღერძი.

ოსტატობის კანდიდატებში იუნიორები ასპარეზობდნენ. აქ ყველას აჯობა ილია ვამაკიძემ („შრომითი რეზერვები"), 12 წელზე უმცროსი ასაკის ჭაბუკები „იმედის თასისათვის" იბრძოდნენ. ეს საპატიო ჯილდო თბილისელმა ალექსანდრე ქელტკოვმა (განათლების განყოფილება) მოიპოვა.

ოსტატთა პროგრამით მოასპარეზე ქალებს შორის უძლიერესი იყო ქუთაისელი მედეა ქუთათელაძე (პროფკავშირები), რომელმაც გაიმარჯვა აგრეთვე ბჯენით ხტომებსა და თავისუფალ ვარჯიშში. ოსტატობის კანდიდატებში უძლიერესი იყო მისი თანაგუნდელი სოფიკო მანაგაძე, ხოლო ზირველთანრიგოსნებში თბილისელი მ. რანა ბერუკაშვილი (განათლების განყოფილება).

დასასრულს დავძენთ, რომ „დარჩენილ" იარაღებზე თავი ისახელეს თბილისელებმა: ხვრჩა გაბიეგმა (განათლების სამმართველო. რგოლები და ორძელი) და ლია აბდუშელიშვილმა (განათლების სამმართველო. დვირი და ორძელი).

სურათზე: ლევან სისაური.

უცხოეთის კალათბურთის აფეგეი ნამსონი გაცვლს

1986 [illegible] ეროვნული [illegible] ჩემპიონატ[illegible] ნალში გასვლის შემდეგ ბოლო ორი სეზონის მანძილზე „ჰიუსტონ როკეტსს" რაიმე მნიშვნელოვანი წარმატებისთვის აღარ მიუღწევია. ესპანური ჟურნალი „სუპერბასკეტი" ამის ერთ-ერთ მიზეზად ასახელებს უთანხმოებას გუნდის მთავარ მწვრთნელ ბილ ფიტჩსა და წამყვან კალათბურთელ რალფ სამპსონს შორის. როგორც ჩანს, კლუბის ხელმძღვანელობამ მიზანშეწონილად მიიჩნია რალფ სამპსონი გაეცვალა „გოლდენ შტატ უორიუორსში" მოთამაშე ჯო ბეირ კეროლში, რომელსაც საბჭოთა კავშირშიც უთამაშია. ეს იყო 1985 წლის 30 იანვარს რ. კორაჩის თასზე კიევის „სტროიტელთან" მატჩში.

სტუდენტთა ჩემპიონატზე

დაიწყო აშშ-ს ჩემპიონატი კალათბურთში სტუდენტებს შორის (კოლეჯების ეროვნული სათლეტური ასოციაცია — ნკაა). ჩემპიონატში წარმატებით აიღო სტარტი რამდენიმე გუნდმა, მიჩიგანის (8 გამარჯვება), სირაკუზის (8), ჩრდილოეთ კაროლინას (8), დუკეს (6), აიოვას (6), ილინოისისა (6) და კანზასის (6) უნივერსიტეტების კოლექტივებმა. ბოლო ტურში დუკელებმა დაამარცხეს მაიამელები — 117:102. ამ მატჩში დუკეს მოთამაშემ დანი ფერიმ თავის გუნდს 58 ქულა შესძია და როგორც ამერიკელი მომამხილველები აღნიშნავენ, მან გაიმეორა დიკ კროატის 1952 წლის მიღწევა.

საკდესის ანკეტის ლაურეატები

წლის სამი საუკეთესო სპორტსმენი! ამ ანკეტას საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტო უკვე მეოცედ ატარებს. გამოკითხვაში, როგორც წესი, მონაწილეობენ მსოფლიოს მსხვილი საინფორმაციო სააგენტოები. წლეულს პირველად ამავე ლაურეატი სპორტსმენი ქალია. პირველი ადგილი დაიკავა და წლის საუკეთესო სპორტსმენად გამოცხადდა ამერიკელი მძლეოსანი ფლორენს გრიფიტ-ჯოინერი. იგი ორმეტ ანკეტაში იყო გამარჯვებული. მეორე ადგილი ხვდა მოცურავე კრისტინ ოტოს (გდრ), რომელიც 11 ანკეტაში იყო პირველი, ესამე ადგილზე გავიდა დასავლეთგერმანელი ჩოგბურთელი შტეფი გრაფი (6 ანკეტა).

29 წლის ლოსანჯელესელმა მოდელიორმა გრიფიტ-ჯოინერმა სეულის ოლიმპიურ თამაშებში სამი ოქროსა და ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვა. იგი უძლიერესი იყო 100 და 200 მეტრზე რბენაში. აგრეთვე ესტაფეტაში 4X100 და 200 მეტრიან დისტანციაზე ოლიმპიურმა ჩემპიონმა ფენომენალური მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 21,34. ამერიკელი სპ[illegible]ერი მსოფლიო რეკორდს ფ[illegible] 10[illegible] მეტრზე რბენაშიც — [illegible],49.

22 წლის ლაიფციგი[illegible] სტუდენტი კრისტინ ოტო [illegible] მსოფლიოს უძლიერესი მოცურავე. ეს მან სეულის ოლიმპია[illegible]ეც დაამტკიცა, სადაც ექვსი უმ[illegible] ჯილდო მოიპოვა. თანაც ი[illegible] უძლიერესი იყო ცურვის სამ სახეობაში — თავისუფალი, გულაღმა და ბატერფლაის სტილით ცურვაში. სეულში მას გადასცეს გვირგვინი, როგორც XXIV ოლიმპიადა[illegible] გმირს.

ამ სამეულში ყველაზე ახალგაზრდაა 19 წლ[illegible] დასავლეთგერმანელი ჩოგბურთელი შტეფი გრაფი — მსოფლიოს პირველი ჩოგანი. მიმდინარ[illegible] სეზონში მან „დიდი მუზარადის" ოთხივე ჩასათვლელი ტურნირი მოიგო — ავსტრალიის, საფრანგეთისა და აშშ-ს ღია ჩემპიონატები და უიმბლდონი. გრაფმა გაიმარჯვა აგრეთვე, ჩოგბურთელთა ოლიმპიურ ტურნირში.

აღნიშნულ სპორტსმენთა გარდა უძლიერესთა სიაში შეყვანილი იყვნენ: ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდსმენი ჭოკერ ხტომაში სერგეი ბუბკა, მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში გარი კასპაროვი (ორივე — სსრ კავშირი), ხუთი ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელი ცურვაში მეტ ბიონდი (აშშ), მსოფლიო ჩემპიონი ავტორბოლაში აირტონ სენა (ბრაზილია) და [illegible] ანკეტაში 22 სპორტსმენი იყო დასახელებული: 15 ვაჟი და 7 ქალი. [illegible] სპორტის ათ სახეობას წარმოადგენდნენ — ავტორბოლას, სამთოსათხილამურო სპორტს, ციგურაობას, მძლეოსნობას, [illegible] წყალში ხტომას, სპორტულ ტანვარჯიშს, ჩოგბურთს, ძალოსნობასა და ფეხბურთს.

„ხიხანის" გამარჯვება

ბათუმში დამთავრდა რესპუბლიკური პირველობის გათამაშება მინიფეხბურთში.

ნახევარფინალებში ერთმანეთს შეხვდნენ ბათუმის გუნდები „ხიხანი" და „დელფინი", აგრეთვე, „ოქროსუბანი" (თბილისი) და „შუქურა" (სოხუმი).

„ხიხანმა" საუკეთესოდ ჩაატარა მატჩი „დელფინთან" და საკმაოდ ადვილად გაიმარჯვა — 11:5, ხოლო „ოქროსუბნ[illegible] და სოხუმელთა შეხვედრა დათ[illegible]ვრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 7:4.

ფინალურ მატჩს „ხიხანსა" და „ოქროსუბანს" შორის მრავალრიცხოვანი მაყურებელი დაესწრო. თამაში უკიდურესად დაძაბული ბრძოლით აღინიშნა, მატჩის ძირითადი დრო ფრედ დამთავრდა — 2:2 დამატებით [illegible]როში ანგარ[illegible]ში [illegible]არ შეცვლილა და [illegible]ჭირო შეიქნა დამატებითი 7-მეტ[illegible]ნების შესრულება. აქ მეტი [illegible]უსტე გამოიჩინეს ბათუმელ[illegible] და ღირსეულ წარმატებასაც [illegible]ღწიეს.

მატჩი მესამ ადგილისთვის ბათუმის „დელფინსა" და სოხუმის „შუქურას" შორის დამთავრდა სოხუმელ ფეხბურთელთა გამარჯვებით — 9:[illegible]

ამრიგად, პირველი ადგილი და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მთავარი პრიზი მოიპოვა ბათუმის „ხიხანმა".

სურათებზე: ფინალური შეხვედრის მომენტი; ჩემპიონატში გამარჯვებული ბათუმის „ხიხანის" კოლექტივი.

ა. ჩანტლაძის [illegible].

მარკო ვან ბასტენი — ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი

პოპულარული ფრანგული საფეხბურთო ჟურნალი „ფრანს ფუტბოლი" ყოველი წლის დასასრულს ტრადიციულად ავლენს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელს. „ფრანს ფუტბოლის" ლაურეატს გადასცემენ საგანგებო პრიზს „ოქროს ბურთს".

ჟურნალის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად 1988 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებულია ჰოლანდიელი ფეხბურთელი ვან ბასტენი, რომელმაც თავისი ქვეყნის შემადგენლობაში წლეულს ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა.

რეფერენდუმში მონაწილეობდა 27 ქვეყნის 27 ჟურნალისტი. მათ ამავე პირველი ადგილი ჰოლანდიელ ოსტატებს მიაკუთვნეს. 129 ქულა დააგროვა **მარკო ვან ბასტენმა**, მეორე ადგილზეა **რუუდ გულიტი** (88 ქულა), ხოლო მესამეზე — **ფრანკ რიიკარდი** (45).

ლაურეატთა შემდეგი ადგილები ასე განაწილდა: 4. ალექსეი მიხაილიჩენკო (სსრ კავშირი, 41 ქულა), 5. რონალდ კუმანი (ჰოლანდია, 39), 6. ლოთარ მათეუსი (გფრ, 10), 7. ჯანლუკა ვიალი (იტალია, 7), 8-10. ალექსანდრე ზავაროვი (სსრ კავშირი), ფრანკო ბერესი (იტალია), ურგენ კლინსმანი (გფრ) — 5-5.

სხვადასხვა დროს „ოქროს ბურთის" მფლობელები სსრ კავშირიდან იყვნენ ლევ იაშინი (1963 წელი), ოლეგ ბალახნინი (1975) და იგორ ბელანოვი (1986).

სურათზე: ეპიზოდი ევროპის 1988 წლის ჩემპიონატის მატჩიდან ჰოლანდია — გფრ. შეტევაზეა მარკო ვან ბასტენი.

50 უცხოელი!

50 უცხოელი თამაშობს ამჟამად იტალიის პირველი ლიგის 18 გუნდში. აქედან 7 მცველია, 24 — შუა ხაზის მოთამაშე, 19 — თავდამსხმელი. აი, ისინიც:

„ასკოლი" — კასაგრანდე (ბრაზილია), არსლანოვიჩი, ცვეტკოვიჩი (ორივე — იუგოსლავია). **„ატალანტა" (ბერგამო)** — პრიტეი, სტრიომბერგი (ორივე — შვეიცია), ევაირი (ბრაზილია). **„ბოლონია"** — დემოლი (ბელგია), რუბიო (ჩილე), ალტონენი (ფინეთი), **„ჩეზენა"** — ჰოლმკვისტი (შვეიცია), იოჭიჩი (იუგოსლავია). **„კომო"** — კორნელიუსონი (შვეიცია), მილტონი (ბრაზილია), **„ფიორენტინა"** — დუნგა (ბრაზილია), ჰაზენი (შვეიცია). **„ინტერნაციონალე"** — ბრემე, მათეუსი (ორივე — გფრ), დიასი (არგენტინა). **„იუვენტუსი"** — ზავაროვი (სსრკ), ლაუდრუპი (დანია), რუი ბაროსი (პორტუგალია). **„ლეჩე"** — ბარბასი, პასკული (ორივე — არგენტინა). ვინჩე (უნგრეთი). **„ლაციო"** — დეზოტი (არგენტინა), გულტიერესი, სოსა (ორივე — ურუგვაი). **„მილანი"** — გულიტი, ვან ბასტენი, რაიკარდი (სამივე — ჰოლანდია), **„ნაპოლი"** — მარადონა (არგენტინა), კარეკა, ალემაო (ორივე — ბრაზილია). **„პესკარა"** — ედმარი, ჟუნიორი, ტიტა (სამივე — ბრაზილია). **„პიზა"** — ბევინი (ჰოლანდია),

ელიოტი (ინგლისი). სეეერეინსი (ბელგია). **„სამპდორია"** — სერეზო (ბრაზილია), ვიქტორი (ესპანეთი). **„რომა"** — ანდრადე, რენატო (ორივე — ბრაზილია), ფიოლერი (გფრ). **„ტორინო"** — ედუ, მიულერი (ორივე — ბრაზილია), სკორო (იუგოსლავია). **„ელლასი" (ვერონა)** — ბერთოლდი (გფრ), კანიჯა, ტროლიო (ორივე — არგენტინა).

ნეაპოლელთა ტრიო

იტალიურ ფეხბურთში ამჟამად ყველაზე [illegible]ზიფათო თავდასხმის ტრიო ჰყავს „ნაპოლის": მარადონა — კარნევალე — კარეკა. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ამ ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩში ისინი მოხსნიან კიდეც „ნაპოლის" მიერ 1955-56 წლების სეზონში დამყარებულ რეკორდს (8:1 „პროპატრიას" წინააღმდეგ).

ფეხბურთს დაუბრუნდა

ფეხბურთს ოთხი წლის წინათ გამოეთხოვა ცნობილი შვედი მეკარე რონი ჰელსტრიომი, რომელსაც ეროვნულ ნაკრებში 77 მატჩი აქვს ჩატარებული. ეს გადწყვეტილება ვეტერანმა 35 წლის ასაკში მიიღო, ჰაგრამ 39 წლის ჰელსტრიომმა მაინც ვერ გაუძლო ცდუნებას და დაუბრუნდა ფეხბურთს. მან თამაში დაიწყო შვეციის პირველი ლიგის კლუბ „სუნდვალში".

ავსტრიელთა ბუბმები

ავსტრიის ეროვნული ნაკრების (იგი საბჭოთა ფეხბურთელებთან მსოფლიო ჩემპიონატის ერთ შესარჩევ ჯგუფში გამოდის) ხელმძღვანელმა იოზეფ ჰიკერს-ბერგერმა თავისი ქვეყნის პირველი ლიგის გუნდების მწვრთნელებს [illegible]ააცნო ნაკრების 1989 წლის კალენდარი. 25 მარტს ავსტრიელები ვენაში მიიღებენ იტალიელებს, 12 აპრილს გრაცში — ჩეხოსლოვაკიელებს, ამას მოჰყვება მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი 17 მაისს ლიეფციგში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთან. 31 მაისს ავსტრიელები ოსლოში ეთამაშებიან ნორვეგიელებს, 16 ივნისს რეიკიავიკში — ისლანდიელებს (მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი), 23 აგვისტოს ზალცბურგში — [illegible] ისლანდიელებს (შესარჩევი მატჩი). 6 სექტემბერს ვენაში საპასუხო მატჩი გაიმართება საბჭოთა ფეხბურთელებთან. სეზონს ავსტრიელები ასევე ორი შესარჩევი მატჩით დაამთავრებენ: 25 ოქტომბერს სტამბოლში — თურქებთან, ხოლო 15 ნოემბერს ვენაში — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდთან.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.



1989 წლის 1-10 იანვარს თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება საახალწლო თეატრალიზებული სპორტული წარმოდგენები.

დასაწყისი — 13 საათსა და 30 წუთზე და 16 საათზე.

ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის სალაროებში, მიიღება გაანაცხადები კოლექტიურ დასწრებაზეც.

სპორტული ლატარიები

ეს არის ახალი სტადიონები, აუზები, მოედნები, სპორტული კომპლექსები

კონკურსი, კონკურსი...

1988 წლის მე-18 ტირაჟის შემდეგ საგრძნობლად გაფართოვდა ავტომობილების ურიგოდ შეძენის უფლებები იმ პირთათვის, ვინც სპორტულ ლატარიებში 10000 მანეთი მოიგო.

„ჟიგული ვაზ 2107“ მარკის ავტომობილის ურიგოდ შეძენის უფლება მიეცათ იმ პირებს, ვინც მოიგო 10000 მანეთი „სპორტლოტოს“ ერთტირაჟიანი ბილეთის ერთ ვარიანტში ან ორივე ვარიანტის ჯამში, აგრეთვე რამოდენიმე ბილეთის ჯამში, რომლებიც ნუმერაციის მიხედვით (10 ნომრის ფარგლებში) მისდევენ ერთმანეთს.

„ჟიგული ვაზ 2107“ მარკის ავტომობილის შეძენის ასეთივე უფლება მიეცათ აგრეთვე მათ, ვინც მოიგეს 10000 მანეთი ათტირაჟიანი ბილეთით საერთო ჯამში, ან ერთ ტირაჟში ათჯერ მონაწილეობით. უფრო სოლიდური ავტომობილის, „ვოლგა გაზ 24-10“-ის ურიგოდ შეძენის უფლება მიეცათ იმათ, ვინც მოიგებს 10000 მანეთს ათტირაჟიანი ბილეთის ერთ ვარიანტში ციკლის ერთ-ერთ ტირაჟში, ან აღნიშნულ თანხას ერთჯერადად, ტირაჟში ათმაგი მონაწილეობით.

უყურადღებოდ არც „სპორტპროგნოზის“ მოყვარულები დარჩენილან. „ჟიგული ვაზ 2107“-ის ურიგოდ შეძენის უფლება ეძლევათ იმ პირებს, ვინც 10000 მანეთს მოიგებს ერთ ვარიანტში ან ერთი ბილეთის რამოდენიმე ვარიანტის ჯამში.

სპორტული ლატარიების მოყვარულთა რესპუბლიკურ კონკურსში მონაწილეობენ 10000 მანეთზე ნაკლები მოგებების მფლობელები. ამ შემთხვევაში მოგებული თანხა არ უნდა იყოს „ჟიგულის“ მარკის ავტომობილის ღირებულებაზე ნაკლები.

1989 წლიდან ამ თანხის დაგროვება შეიძლება არა მარტო „სპორტლოტოსა“ და „სპორტპროგნოზის“ ერთი ბილეთის ერთ ვარიანტში, არამედ რამდენიმე ბილეთითაც, რომლებიც ნუმერაციით მოსდევენ ერთმანეთს (ათი ბილეთის ფარგლებში).

წელს ჩვენი რესპუბლიკის 50-ზე მეტი მაცხოვრებელი გახდა ავტომობილის მფლობელი სპორტული ლატარიების დახმარებით.

„ვოლგა გაზ 24-10“ მიიღეს თბილისელმა ბ. კაკაბაძემ და რუსთაველმა ვ. იშჩენკომ. „ჟიგული ვაზ 2107“-ის მფლობელები გახდნენ თბილისელები ნ. ნოზაძე, გ. კორაშვილი, გ. დალაქიშვილი, თ. კობიაშვილი, ზ. ფირცხალავა, გ. ყანჩელი, გ. ადამია, დ. ძაგანია და სხვები, მარნეულელები ზ. ბადალოვი, მ. გადინოვი, ა. ნაიბოვი, მახარაძელი ა. სიხარულიძე, კასპელი გ. ბერიანიძე, ზესტაფონელი ა. ჭეიშვილი, აფხაზეთის მაცხოვრებლები ტ. ცანავა, ვ. კაჩერიანი და ვ. ჯენია.

მათ კი, ვინც 10000 მანეთზე ნაკლები მოიგეს, შეიძინეს „ჟიგული ვაზ 21063“ და „ნივა ვაზ 2121“. მათ შორის არიან ზ. ნიკოლაიშვილი, კ. ანთიძე, გ. კაკაბაძე, რ. სირაძე და სხვები.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი შეღავათი ძალაშია 1989 წელს.

„სპორტლოტოსა“ და „სპორტპროგნოზის“ მოყვარულებს, გიწვევთ კონკურსებში მონაწილეობის მისაღებად.

თქვენთან ერთად

სპორტის ივენტს!

„სპორტლოტოს“ რეპორტიორები საქართველოში

ყველაზე იღბლიანი 1988 წელი აღმოჩნდა ქ. ახალციხეში მცხოვრებ „სპორტლოტოს“ ხუთი მოყვარულისთვის. მათ კოლექტიურად ითამაშეს მეთორმეტე ტირაჟში და მოიგეს 200 000 მანეთი. ისინი „ჟიგული ვაზ 2107“ მოდელის ავტომანქანების მფლობელებიც გახდნენ.

გუდაუთელი თამაზ ცანავასა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტის გია ყანჩელის აზრით თამაში აუცილებელია სისტემატურად, არ უნდა გამოტოვო არც ერთი ტირაჟი. მათ წლევანდელ „სპორტლოტო 5 36“-დან 22-ე და 23-ე ტირაჟებში 20.000 მანეთი მოიგეს თითოეულმა და მიიღეს ავტომანქანა „ჟიგული ვაზ 2107“.

ასეთივე მოგება, 20.000 მანეთი, ხვდა წილად თბილისელ ბ. კაკაბაძეს, მაგრამ ვინაიდან ეს თანხა მან ათტირაჟიანი ბილეთით მოიგო, მას ერგო ავტომანქანა „ვოლგა გაზ 24-10“.

1989 წლის ტირაჟების ნომრები და ჩატარების თარიღები

1 ტირაჟი	1 იანვარი	28 ტირაჟი	9 ივლისი
2 ტირაჟი	8 იანვარი	29 ტირაჟი	16 ივლისი
3 ტირაჟი	15 იანვარი	30 ტირაჟი	23 ივლისი
4 ტირაჟი	22 იანვარი	31 ტირაჟი	30 ივლისი
5 ტირაჟი	29 იანვარი	32 ტირაჟი	6 აგვისტო
6 ტირაჟი	5 თებერვალი	33 ტირაჟი	13 აგვისტო
7 ტირაჟი	12 თებერვალი	34 ტირაჟი	20 აგვისტო
8 ტირაჟი	19 თებერვალი	35 ტირაჟი	27 აგვისტო
9 ტირაჟი	26 თებერვალი	36 ტირაჟი	3 სექტემბერი
10 ტირაჟი	5 მარტი	37 ტირაჟი	10 სექტემბერი
11 ტირაჟი	12 მარტი	38 ტირაჟი	17 სექტემბერი
12 ტირაჟი	19 მარტი	39 ტირაჟი	24 სექტემბერი
13 ტირაჟი	26 მარტი	40 ტირაჟი	1 ოქტომბერი
14 ტირაჟი	2 აპრილი	41 ტირაჟი	8 ოქტომბერი
15 ტირაჟი	9 აპრილი	42 ტირაჟი	15 ოქტომბერი
16 ტირაჟი	16 აპრილი	43 ტირაჟი	22 ოქტომბერი
17 ტირაჟი	23 აპრილი	44 ტირაჟი	29 ოქტომბერი
18 ტირაჟი	30 აპრილი	45 ტირაჟი	5 ნოემბერი
19 ტირაჟი	7 მაისი	46 ტირაჟი	12 ნოემბერი
20 ტირაჟი	14 მაისი	47 ტირაჟი	19 ნოემბერი
21 ტირაჟი	21 მაისი	48 ტირაჟი	26 ნოემბერი
22 ტირაჟი	28 მაისი	49 ტირაჟი	3 დეკემბერი
23 ტირაჟი	4 ივნისი	50 ტირაჟი	10 დეკემბერი
24 ტირაჟი	11 ივნისი	51 ტირაჟი	17 დეკემბერი
25 ტირაჟი	18 ივნისი	52 ტირაჟი	24 დეკემბერი
26 ტირაჟი	25 ივნისი	53 ტირაჟი	31 დეკემბერი
27 ტირაჟი	2 ივლისი		

1988 წლის გასული ტირაჟების შედეგები

„6-45“-დან	„5-36“-დან
1. 43, 4, 1, 15, 14, 21	31, 30, 2, 28, 18
2. 39, 14, 4, 20, 16, 45	26, 27, 3, 23, 15
3. 38, 34, 24, 8, 1, 20	36, 24, 28, 12, 13
4. 36, 21, 32, 2, 18, 17	18, 6, 1, 9, 11
5. 22, 26, 7, 4, 20, 10	11, 10, 18, 5, 15
6. 11, 28, 44, 5, 42, 43	25, 32, 18, 22, 28
7. 18, 16, 25, 6, 30, 38	19, 17, 15, 33, 23
8. 26, 23, 45, 34, 41, 27	32, 17, 36, 15, 20
9. 19, 14, 27, 5, 8, 24	33, 16, 5, 12, 22
10. 14, 22, 32, 38, 43, 20	21, 23, 18, 10, 22
11. 27, 5, 9, 10, 18, 1	19, 11, 8, 18, 29
12. 15, 7, 3, 35, 32, 25	34, 6, 36, 1, 18
13. 8, 41, 32, 12, 39, 18	33, 23, 14, 19, 18
14. 14, 24, 1, 37, 26, 28	14, 32, 4, 34, 15
15. 2, 31, 20, 35, 43, 21	3, 21, 7, 4, 6
16. 37, 17, 9, 6, 21, 18	11, 33, 2, 34, 21
17. 44, 16, 11, 12, 24, 30	20, 2, 8, 36, 30
18. 27, 17, 28, 41, 25, 20	14, 10, 12, 24, 11
19. 20, 44, 37, 41, 4, 24	2, 26, 27, 36, 5
20. 14, 3, 4, 31, 6, 39	3, 21, 33, 17, 15
21. 30, 31, 11, 2, 21, 13	29, 24, 23, 18, 33
22. 5, 24, 32, 40, 27, 16	30, 16, 24, 22, 29
23. 18, 9, 26, 17, 8, 14	25, 4, 23, 6, 5
24. 34, 19, 22, 7, 26, 28	9, 28, 30, 32, 19
25. 22, 12, 45, 41, 19, 8	10, 31, 23, 9, 28
26. 37, 38, 45, 8, 44, 35	24, 18, 23, 14, 11
27. 14, 35, 13, 20, 2, 7	24, 15, 10, 16, 3
28. 43, 28, 35, 30, 5, 4	3, 30, 16, 5, 12
29. 20, 14, 8, 21, 9, 25	15, 10, 4, 22, 19
30. 28, 27, 16, 38, 2, 4	32, 12, 28, 19, 8
31. 39, 29, 44, 1, 41, 33	7, 6, 21, 1, 20
32. 21, 32, 2, 37, 12, 5	15, 12, 4, 26, 23
33. 14, 40, 28, 33, 30, 10	20, 32, 19, 36, 7
34. 2, 19, 30, 39, 1, 17	2, 5, 20, 13, 32
35. 27, 37, 42, 35, 33, 3	6, 27, 7, 15, 4
36. 37, 14, 32, 7, 33, 12	11, 27, 30, 13, 10
37. 4, 23, 38, 28, 32, 2	11, 18, 31, 4, 8
38. 7, 45, 20, 16, 18, 3	23, 18, 6, 17, 21
39. 30, 35, 33, 25, 20, 2	11, 13, 28, 4, 8
40. 42, 44, 5, 2, 7, 20	10, 13, 8, 28, 30
41. 19, 22, 10, 24, 30, 34	7, 25, 3, 20, 13
42. 13, 15, 30, 28, 17, 44	32, 8, 24, 9, 28
43. 19, 36, 42, 35, 45, 16	15, 9, 19, 8, 35
44. 4, 32, 29, 35, 27, 40	9, 23, 34, 1, 10
45. 18, 24, 35, 36, 2, 21	3, 36, 6, 5, 29
46. 30, 1, 12, 38, 2, 24	28, 8, 30, 7, 19
47. 43, 17, 14, 10, 20, 44	27, 3, 18, 32, 14
48. 45, 14, 35, 22, 6, 39	36, 1, 24, 17, 4
49. 15, 31, 21, 29, 20, 11	32, 25, 30, 24, 14
50. 24, 25, 42, 11, 16, 14	26, 8, 11, 5, 36
51. 29, 7, 22, 14, 11, 17	3, 12, 31, 22, 24

შეგახსენებთ!

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ, მოთამაშეთა მრავალრიცხოვან მოთხოვნათა გათვალისწინებით, განაახლა ლატარია „სპორტპროგნოზის“ ექვსვარიანტიანი ბილეთების (ფასი 1 მან. 82 კაპ.) გაყიდვა.

ამჟამად სამვარიანტიან ბილეთებთან (ფასი 92 კაპ) და სხვა სახის სპორტულ ლატარიებთან ერთად შეიძლება ამ ბილეთების შეძენაც.

ექვსვარიანტიანი ბილეთების შევსება ხდება შემდეგნაირად: პირველი გუნდის (მასპინძლის) გამარჯვება აღინიშნება ციფრით „1“, მეორე გუნდის (სტუმრის) გამარჯვება აღინიშნება ციფრი „2“, ფრე აღინიშნება ნიშნით „X“.

სამვარიანტიან ბილეთებში, „სპორტლოტოს“ ბილეთების მსგავსად, აღნიშვნა ხდება ნიშნით „X“. თუ უპირატესობა ენიჭება პირველ გუნდს (მასპინძელს) ნიშანი იწერება პირველ კოლონაში, რომელიც ზემოდან აღნიშნულია ციფრით „1“. ფრეს შემთხვევაში ნიშანი იწერება მეორე კოლონაში, რომელიც ზემოდან აღნიშნულია ციფრით „0“. თუ უპირატესობა ენიჭება მეორე გუნდს (სტუმარს), ნიშანი იწერება მესამე კოლონაში, რომელიც ზემოდან აღნიშნულია ციფრით „2“.

ბილეთების შევსების დაწვრილებითი წესი განმარტებულია მის მეორე მხარეზე.

სანამ ბილეთების შევსებას დაიწყებდეთ, აუცილებლად გაეცანით თამაშის პირობებს.

შეგახსენებთ, რომ ლატარია „სპორტპროგნოზში“ ერთი ბილეთის ერთ ვარიანტში, ან რამოდენიმე ვარიანტის ჯამში 10000 მანეთის მოგების მფლობელს უფლება ეძლევა რიგგარეშე შეიძინოს ავტომანქანა „ჟიგული ვაზ 2107“.

სპორტული ლატარიების რესპუბლიკურ კონკურსში მონაწილეობას იღებენ ის პირები, ვისი მოგებაც 10000 მანეთზე ნაკლებია, მაგრამ არანაკლებ „ჟიგულის“ მარკის ავტომანქანის ღირებულებისა.

„სპორტპროგნოზის“ ბილეთების „ბვ“ ნაწილების მიღებისა და „სპორტლოტოს“ ყუთებში ჩაშვების კონკრეტული ვადები მითითებულია ბილეთების რეალიზაციის ადგილებში და „სპორტლოტოს“ ყუთებზე.

გიწვევთ ლატარია „სპორტპროგნოზში“ მონაწილეობის მისაღებად.

გისურვებთ წარმატებას!

„სპორტლოტო“ „სპორტპროგნოზი“ „სპრინტი“ — მოგება 10 000 მანეთამდე

ტირაჟის დღე—კვირა

„სპორტლოტოს“ მოყვარულებს შევახსენებთ,

რომ პრეტენზიები მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ზუსტადაა მითითებული „სპორტლოტოს“ ყუთის ნომერი და ადგილმდებარეობა, რომელშიც ჩაშვებულია ბილეთის „ბვ“ ნაწილი.

ბილეთის შევსებული „ა“ ნაწილი აკურატულად შოკერით და შეინახეთ. „ბვ“ ნაწილი გაუცალკევებლად ჩაუშვით „სპორტლოტოს“ ყუთში ზუსტად მითითებულ ვადებში.

მკაცრად დაიცავით თამაშის წესები!

დაიხსომეთ, რომ ამ მონაცემების გარეშე პრეტენზიები არ განიხილება!



თუ გსურთ მიიღოთ ცნობები ტირაჟების ჩატარებისა და შედეგების შესახებ დარეკეთ 34-20-00, 35-30-15.

მზად ვართ გემსახუროთ!

ჩვენი მისამართი: 380019, თბილისი — 19, ელიავას ქ. № 26. ტელეფონები: 34-53-42, 34-38-00, სპორტული ლატარიების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო.

ჩვენი მისამართი: წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები: წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, „მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05671